# თბილისში დაიდო ბინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ასრულდა საქართველოს გულშემატკივართა დიდი ხნის ოცნება — თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდი ევროპული ტურნირის მონაწილეა**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 133 (6188)

9 ივლისი, 1978 წ. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




**ხელბურთელთა** ასპარეზობის მეორე, დასკვნითი დღის „უვერტიურა" ერთობ პროზაული იყო. მოედანზე გამოვიდნენ მესამე ადგილისათვის მებრძოლი გუნდები — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" და კრასნოდარის „ბურევესტნიკი". მეტოქეებს უკვე აღარ ჰქონდათ გადასაწყვეტი ტურნირის მთავარი ამოცანა — საპატიო თასის მოპოვება. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა (14:14), ხოლო დამატებით პერიოდში წარმატებას კრასნოდარელებმა მიაღწიეს (23:17) და... თამაშის შემდეგ პირდაპირ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ.

და აი, მოედანზე გამოვიდნენ „ბროლის მაძიებელნი" — თბილისის „ბურევესტნიკი" და კაუნასის „გრანიტასი"...

ჯერ კიდევ წინა დღეს, როდესაც „გრანიტასმა" დაამარცხა „ალუმინსტროი" და ფინალში გავიდა, კაუნასელთა უფროსმა მწვრთნელმა ვიტაუტას კონტვაიტისმა ჩვენი მილოცვის საპასუხოდ გვითხრა:

— მიუხედავად მოგებისა, ჩემი ბიჭების თამაშით არ ვარ კმაყოფილი. მათ ვერ შეასრულეს დასახული ტაქტიკური გეგმა, ამასთან, როდესაც ოთხი ბურთით ვიგებდით შეხვედრას, ჩვენი ხელბურთელები მოეშვებოდნენ ხოლმე და დაბალ ტემპში თამაშობდნენ. ცხადია, ყოველივე ამას „გრანიტასი" გაითვალისწინებს გადამწყვეტ ორთაბრძოლაში. ასეც მოხდა: კაუნასელებმა მთელი მატჩი ენერგიულად, მაღალ ტემპში წარმართეს და ფინალურ სასტვენამდე წამითაც კი არ უფიქრიათ ბრძოლის დათმობა.

რაც შეეხება „ბურევესტნიკს", მან წინა დღის მატჩისაგან განსხვავებით მთელი 60 წუთი იშვიათი მონდომებითა და შემართებით ჩაატარა და უაღრესად ძნელ ორთაბრძოლაში დაჯაბნა თავისი მრისხანე, მეტად ტექნიკური და აგრესიული მეტოქე.

როგორ წარიმართა თამაში?

პირველსავე წუთზე თბილისელთა შეტევას გ. ბერიაშვილის ზუსტი ტყორცნა მოჰყვა და ელექტროტაბლოზე „1"-იანი აინთო. კაუნასელები თითქოს გამოწვევას ელოდნენო და ზედიზედ სამი ბურთით უპასუხეს — 1:3. მართალია, გ. ბერიაშვილმა მე-7 წუთზე შეძლო თავისი ძმის წარმატება გაემეორებინა (2:3), მაგრამ ლიტველმა ხელბურთელებმა კიდევ ორი ეფექტური გოლი გაიტანეს — 2:5. მიმდინარეობდა მატჩის მე-10 წუთი. ნავროზაშვილმა ზუსტად ტყორცნა. ამას მოჰყვა გ. ნარიმანიძისა და გ. ბერიაშვილის (7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით) გოლები. ანგარიში გათანაბრდა — 5:5. სტუმრები საგრძნობლად ნერვიულობენ და თამაშის წესებსაც ხშირად არღვევენ. მას მოსდევს მოედნიდან ორი წუთით გაძევება ან პენალტი დაზარალებულთა სასარგებლოდ, რასაც შეუცდომლად იყენებს გუნდის კაპიტანი გ. ბერიაშვილი. ტაიმს ჩვენები იგებენ — 9:7.

შესვენების შემდეგ მოედანზე, შეიძლება ითქვას, ორი სნაიპერის, ორი კაპიტნის — თბილისელი გ. ბერიაშვილისა და კაუნასელი ა. მაზელიაუსკასის დუელი იყო გაჩაღებული: ვინ მეტ ქულას მოუტანდა თავის გუნდს? — საბოლოოდ იმარჯვა ქართველმა ხელბურთელმა, რომლის პირად ანგარიშზეა 11 ბურთი. კაუნასელის ტყორცნებმა კი შვიდჯერ მიაღწია მიზანს.

თამაში კვლავ მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა — 14:10 (მე-10 წუთზე), 19:12 (მე-17 წუთზე). „გრანიტასმა" პრესინგს მიმართა მთელს მოედანზე. განსაკუთრებით მჭიდროდ იჭერდნენ გ. ნარიმანიძეს, რომლის მთავარი მეურვე ვ. ბანიოსი მას მართლაც რომ ჩრდილივით დასდევდა. ასეთმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო — სხვაობა შემცირდა სამ ქულამდე — 21:18. ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა თბილისის „ბურევესტნიკმა" და... მეორე წუთს მეგობრების, ხელბურთის ვეტერანთა, გულშემატკივრების მჭიდრო რკალში მოექცა. ქართველი ხელბურთელები (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. მაჭავარიანი, მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. ლელაშვილი) საპატიო თასის მეორე მფლობელნი (მაი-ს შემდეგ) გახდნენ და გაისად ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში იასპარეზებენ. გამარჯვებულებმა სანუკვარი ჯილდოთი საპატიო წრე შემოუარეს სარბიელს, რომელიც ორი დღის განმავლობაში ესოდენ საინტერესო ასპარეზობის მოწმე იყო.

**ო. ნოზაძე.**

• • •

**სურათებზე:** ზევით — სსრ კავშირის 1978 წლის თასის მფლობელი თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდი. პირველ რიგში — გ. მამულაშვილი, ი. ნარიმანიძე, ჯ. ბარამიძე, ზ. დოლიძე, ი. კალანდაძე; დგანან — გ. ნარიმანიძე, მწვრთნელი ა. ლელაშვილი, ზ. ჭანტურია, ა. კომახიძე, ვ. ბერიაშვილი, ა. ნავროზაშვილი, ნ. მაჭარაძე, ზ. კეკელიძე, გ. ბერიაშვილი, უფროსი მწვრთნელი გ. მაჭავარიანი; ქვევით — გათამაშების მთავარი მსაჯი მ. გალაქტიონოვი თასს გადასცემს გუნდის კაპიტანს გ. ბერიაშვილს.

ი. კოტორაშვილის ფოტოები.

## ქართველი ხელბურთელები — სსრ კავშირის თასის მფლობელები!

## ჯილდოები ღირსეულთ

**სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1978 წელს ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული მაღალი სპორტული მიღწევებისთვის დაჯილდოვდნენ:

**ლენინის ორდენით** — სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. მიხაილოვი და ვ. ტრეტიაკი;

**შრომის წითელი დროშის ორდენით** — სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ვასილიევი, ვ. ლუტჩენკო, ა. მალცევი, ვ. ხარლამოვი, გ. ციგანკოვი; სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ვ. ტიხონოვი და ვ. იურზინოვი;

**ხალხთა მეგობრობის ორდენით** — სპორტის დამსახურებული ოსტატები ჰ. ბალდერის-სილდეძისი და ს. კაპუსტინი;

**„საპატიო ნიშნის" ორდენით** — სპორტის დამსახურებული ოსტატები ზ. ბილიალეტდინოვი, ა. გოლიკოვი, ვ. პერვუხინი, ვ. პეტროვი, ვ. ფეტისოვი; გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" ფიზიკური მომზადებისა და სპორტის განყოფილების რედაქტორი ვ. გავრილინი, საკავშირო სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი, გაზეთ „პრავდის" რედაქტორის მოადგილე ლ. ლებედევი, სპორტული კომენტატორი ნ. ოზეროვი;

**მედლით „შრომითი მამაცობისთვის"** — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. მაკაროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. გოლიკოვი, ი. ლებედევი, ა. პაშკოვი, ი. ფიოდოროვი, მწვრთნელი-მასაჟისტი გ. ავსეენკო, ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის სპორტულ ნაგებობათა დირექტორი ვ. დომბროვსკი, მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგეები ი. კოროლიოვი და ი. კოცი, ექიმი-მწვრთნელი ბ. საპრონენკოვი.

## სპარტაკიადის მტკიცე ნაბიჯი

**მთელ** ქვეყანაში მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შეჯიბრებები. საუკეთესო სპორტსმენებს ავლენენ კოლექტივები, რაიონები, ქალაქები, ოლქები და რესპუბლიკები, სპარტაკიადის ჩარჩოებში ჩატარდა საწარმოო კოლექტივების საკავშირო შეჯიბრებები, რომელშიც 25 მილიონი სპორტსმენი მონაწილეობდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის თაობაზე.

ერთი წლის შემდეგ, 1979 წლის ივლისში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის — საბჭოთა სპორტის ისტორიაში უდიდესი შეჯიბრების (რომელშიც უფრო მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებში), ფინალები. ეს იქნება ფიზკულტურისა და სპორტის, მეგობრობის, მშვიდობის საერთო სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ერონების ნიჭიერ სპორტსმენთა დემონსტრაცია.

VII სპარტაკიადა გამოირჩევა წინა სპარტაკიადებისაგან. ფინალური შეჯიბრებები გაიმართება XXII ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე. სპარტაკიადა გაიხსნება იმ დროისათვის უკვე მოდერნიზებულ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე. მონაწილეები იასპარეზებენ ახალ ოლიმპიურ ბაზებზე. ფინალები გაიმართება არა მარტო მოსკოვში, არამედ სხვა ქალაქებშიც. სპარტაკიადაში პირველად მოიწვევენ ყველა კონტინენტის 100-მდე ქვეყნის 2000 სპორტსმენს.

VII სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია ყველა ოლიმპიური სახეობა: ჩოგბურთი, ჭიდაობა — სამბო, მხატვრული ტანვარჯიში და ჭადრაკი.

სპარტაკიადების ტრადიცია საბჭოთა სპორტის, საბჭოთა ქვეყნის (სადაც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის მუდმივად ზრუნავენ) ბრწყინვალე მიღწევაა. უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს სრულდება ჩვენი სპარტაკიადების 50 წლისთავი.

1928 წლის სპარტაკიადა აგვისტოში გაიმართა და როგორც ცნობილია, ამ თვეს ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ზეიმობენ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

(საკდესი).



# საქართველოს თასი — „ლოკომოტივს“

**ნიჩბოსნობა**

**დასანანია**, რომ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების უმეტესობა ყველა სახეობას ოლიმპიადის საზომით ზომავს და დღესდღეობით არაოლიმპიური სახეობების განვითარებისთვის არაფერს აკეთებს, იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ადვილი შესაძლებელია სანიჩბოსნო სლალომი ოლიმპიადის პროგრამაში ისევ შეიტანონ. ხომ იყო იგი თამაშების ბინადარი, მიუნჰენში ხომ გათამაშდა მედლები და მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენში ეს საინტერესო და ძალზე პრაქტიკული სახეობა ახალი დანერგილი იყო, მიუნჰენის სპეციალური არხიდან საბჭოთა სპორტსმენებმა თითქმის ვერაფერი ჩამოიტანეს. იქ საბჭოთა ნიჩბოსნებიდან ყველაზე უკეთესად ისევ მცხეთელი გ. ნასყიდაშვილი გამოვიდა.

მერე ეს სახეობა არც მონრეალის ოლიმპიადის პროგრამაში ყოფილა და არც XXII თამაშების პროგრამაშია, ამიტომაც ბევრგან ხელი შეუშვეს, ჩვენს რესპუბლიკაში კი მხოლოდ „ლოკომოტივსა“ და „შრომითი რეზერვებს“ შემორჩათ და ამას წინათ ზაჰესის მიდამოებში გამართულ საქართველოს თასის გათამაშებაშიც მხოლოდ ამ საზოგადოებების სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

მტკვრის ჩქარ ტალღებთან ორდღიან ჭიდილში რკინიგზელები უკეთესად ასპარეზობდნენ, საბოლოოდ 16 საჯარიმო ქულა მიიღეს, 19 ქულით ნაკლები, ვიდრე მისმა მეტოქეებმა და თასსაც დაეპატრონენ. რკინიგზელებმა პირად ტურნირში 9 საპრიზო ადგილი მოიგეს თორმეტიდან.

ეს გასაკვირი არც არის, რადგან „ლოკომოტივმა“ სარბიელზე 30 ნიჩბოსანი გამოიყვანა, „შრომითი რეზერვები“ კი მხოლოდ 9-კაციანი კოლექტივით იბრძოდა. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ „ლოკომოტივი“ საქართველოში ერთადერთი საზოგადოებაა, რომელიც სანიჩბოსნო სლალომის განვითარებისთვის იმთავითვე ზრუნავდა და ბაზაც მოიწყო, რკინიგზელთა გამარჯვებას ყველა კანონზომიერად მიიჩნევს. „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს ჯგუფები ახლაც გულმოდგინედ მუშაობენ სანიჩბოსნო სლალომის განვითარებისთვის.

ვისაც სპორტის ამ სახეობაში ძალა ერთხელ უცდია, მერე ძნელია მისი ნიჩბოსნობის სხვა სახეობაზე გაცვლა და სწორიცაა, ჩქარ მდინარეზე ნავით დაშვება, საკონტროლო კართა წაღმა-უკუღმა გავლა მხოლოდ ვაჟკაცებს, გაბედულ ადამიანებს შეუძლიათ. იგი ჩვეულებრივ საბაიდარო, გინდა აკადემიურ ნიჩბოსნობასთან შედარებით სარისკო და ტემპერამენტიანი სახეობაა, რაც ჩვენი ახალგაზრდობის ბუნებას ასე ერწყმის. რა ვუყოთ, რომ დღეს სანიჩბოსნო სლალომი ოლიმპიური სახეობა არ არის, განა ჩვენში სპორტი იმისთვისაა, რომ ოლიმპიურ თამაშებში ქულები და მედლები მოგვაპოვებინოს? ფიზკულტურა და სპორტი, პირველ რიგში ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებას და, მაშასადამე, შრომისნაყოფიერების ზრდას ემსახურება. მაშ რატომღა დაივიწყეს იგი სხვა სპორტსაზოგადოებებმა, უწყებებმა?

იქნებ კიდევ არაფერი გვეთქვა, რომ საქართველოში სანიჩბოსნო სლალომის განვითარებისთვის მთის მდინარეები არ კმაროდეს, პერსპექტიული ახალგაზრდები არ გვყავდეს. ჩვენ ერთსაც ვივიწყებთ და მეორესაც, რსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში კი ასეთი ბუნებრივი პირობები არ გააჩნიათ, მაგრამ ძლიერი გუნდები ჰყავთ.

რესპუბლიკური ტურნირის მონაწილეთა შორის შეხვდებოდით მუშებს, მოსამსახურეებს, მოსწავლეებს, სპორტის ოსტატებსა და ამ წოდების კანდიდატებს, I და II თანრიგოსნებს, რომლებიც თავდავიწყებით იბრძოდნენ. მარტო ერთადგილიანი ბაიდარებით ვაჟთა შეჯიბრებამ 18 ეკიპაჟს მოუყარა თავი. ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულები (177) კი თბილისის 120-ე სკოლის მოსწავლეს, სპორტის ოსტატობის კანდიდატს ს. ბუჟაკს („ლოკომოტივი“) დაუგროვდა და პირველობაც მას დარჩა. თბილისის № 36 პროფტექსასწავლებლის მოსწავლე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. მაისურაძე („შრომითი რეზერვები“) II ადგილზე გავიდა, ხოლო ბუჟაკის თანასკოლელი და თანაგუნდელი, 14 წლის ე. კომაროვი, რომელიც აქამდე II თანრიგოსანი იყო, 204 ქულით III ადგილზე აღმოჩნდა. მან ბევრი უფრო ტიტულიანი და გამოცდილი მეტოქე ჩამოიტოვა.

ქალთა შორის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, სპორტის ოსტატ ლ. გელაშვილს ღირსეული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია, თანაგუნდელებმა, II და III ადგილებზე გასულებმა მ. სუხიაშვილმა და გ. გაზაშვილმაც კი. ეს გოგონები თბილისის 120-ე და 119-ე სკოლებში სწავლობენ. სამივე კი „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს.

კანოეებით ასპარეზობაში 14 მონაწილეს შორის გამოცდილნი, ტიტულიანი ნიჩბოსნები სჭარბობდნენ, ყველას მუშამ, სპორტის ოსტატმა ს. ენუქოვმა („ლოკომოტივი“) აჯობა, რომელმაც 208 საჯარიმო ქულა მიიღო, 17-ით ნაკლები, ვიდრე მისი პროფესიის ოსტატობის კანდიდატმა ბ. ბედოშვილმა („ლოკომოტივი“). „შრომითი რეზერვების“ ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი ს. გაბრიელიანი III ადგილზეა.

მაგრამ ენუქოვის მძლეც აღმოჩნდა. ორადგილიანი კანოეთი იგი ბედოშვილთან ერთად ეშვებოდა და 41,5 ქულა წააგო რკინიგზელ სპორტის ოსტატობის კანდიდატების კ. თომაშვილისა და ე. ვარლამოვის დუეტთან — 222 ქულა. III ადგილი ერგოთ მუსაელიანს და მაისურაძეს — 382.

**ჯ. ქვარცხავა.**

* * *

**სურათებზე:** შეჯიბრების მომენტები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.





# „კახეთი-78“

ავტომოტოსპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში ბოლო წლებში ერთგვარი წვლილი შეაქვს ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობით საზოგადოებას. მისი საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები, რომელთა საბჭოებთან შექმნილია ავტოსპორტული, ავტოტურისტული და ავტომოტოტურისტული კლუბები და სექციები, ხშირად მართავენ სპორტულ ღონისძიებებს. მარტო რესპუბლიკური სპორტულ-ტურისტული კლუბის მიერ წელს ავტომობილისტთა სამი ასპარეზობა ჩატარდა.

ამ მხრივ ვალში არც პერიფერიები არიან. ამას წინათ თელავში გაიმართა ტურნირი „კახეთი-78“, რომელიც ფაქტიურად ავტომოტომრავალჭიდში რესპუბლიკურ შეჯიბრებას წარმოადგენდა.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან შექმნილი ავტოსპორტულ-ტურისტული კლუბი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აღნიშნული კლუბის პირველი და მეორე გუნდები, თბილისის საქალაქო საბჭოს სპორტულ-ტურისტული კლუბის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის რაიონული ორგანიზაციის ნაკრები კოლექტივები. სულ სტარტზე 3[illegible] მანქანა გამოვიდა. პროგრამაში იყო ფიგურული სვლა, მანევრირება და წრიული რბოლა.

თავიდანვე დაწინაურდნენ ლაგოდეხელი ავტომოტომოყვარულები. ამ გუნდის წევრების ნ. კაკუტაშვილისა და გ. კასოვსკაიას ოსტატობამ საერთო მოწონება დაიმსახურა. მათი მონდომება და მაღალი შედეგები ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით აღინიშნა. ლაგოდეხის ვაჟთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ე. ქიტესოვი, ა. როსტაფაშვილი, დ. ჯიყაშვილი 71 საჯარიმო ქულა მოაგროვა და დაიკავა პირველი ადგილი, რისთვისაც თასით დაჯილდოვდა. გუნდის წევრებს დიპლომები გადაეცათ.

გუნდური II და III ადგილები დაიკავეს რესპუბლიკური და თბილისის კლუბების მიერ წარგზავნილმა სპორტსმენებმა, მაგრამ ვინაიდან ისინი კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ, მეორე და მესამე ადგილებისთვის დაწესებული პრიზები თელაველ და ახმეტელ სპორტსმენებს დარჩათ.

„ვაზ“-ის ტიპის მანქანებით პირადი პირველობა 7 საჯარიმო ქულით თბილისელმა თ. კოჩინაშვილმა მოიგო, მეორეზეა — ლაგოდეხელი ე. ქიტესოვი (14 საჯარიმო ქულა), მესამეზე — თბილისელი ზ. ჩიქოვანი — 15.

შეჯიბრების მაღალ დონეს ხელი შეუწყო თელავის ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების ხელმძღვანელობის მონდომებამ, მაღალკვალიფიციურმა მსაჯობამ, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებამ.

**შ. ზანშიაშვილი,**
**საქ. სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

## ვარჯიშობენ ანგისას სტადიონზე

**როგორც** ვიუწყებოდით, ამას წინათ ერევანში დამთავრდა ბალახის ხოკეისტთა გუნდების III ზონის სრულიად საკავშირო შესარჩევი ტურნირი ქალთა შორის, სადაც კარგად გამოვიდნენ ბათუმელი სპორტსმენები — III ადგილი მოიპოვეს.

ბათუმის „განთიადის“ გუნდი ამ დღეებში რეგულარულად ვარჯიშობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისას სტადიონზე. თავდასხმაში ჩინებულად თამაშობენ გ. შარაშენიძე, ლ. კუტალაძე ნ. გოგიშვილი, ს. იუსუპოვა, მ. ლეკვეიშვილი და მ. მინდიაშვილი, რომლებიც მწვრთნელ ზ. მჟავიას ხელმძღვანელობით ხვეწენ თავიანთ ოსტატობას, ემზადებიან ახალი შეჯიბრებებისთვის.

• • •

**სურათზე:** ბათუმის „განთიადის“ გოგონები ვარჯიშის დროს.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



## მოსწავლეთა საჩუქარი

**კომბინატ** „ჭიათურმარგანეცის“ პროფკავშირის კომიტეტთან არსებულმა ალპინისტურ-ტურისტულმა სექციამ (მწვრთნელი გ. სამხარაძე) მოაწყო ორკვირიანი სამთო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ჭიათურა — ლები — ლების უღელტეხილი — ჩიხარეში — აილამა — ზაგაროს უღელტეხილი — უშგული — კალა — ულირის უღელტეხილი — მესტია — ჭიათურა.

ლაშქრობა მიეძღვნა ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლოატაციის დაწყების მე-100 და ჭიათურელ ალპინისტთა მიერ მყინვარწვერის დალაშქვრის 25-ე წლისთავს.

მესტიაში ჭიათურელ სპორტსმენებს შეხვედრა მოუწყეს მიხეილ ხერგიანის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. სკოლის დირექტორმა ვ. პაკელიანმა ჭიათურელ ტურისტებს საჩუქრად გადასცა სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ხერგიანის პორტრეტი.

**გ. ბარჯაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ჭიათურა.

# გულგრილობის შედეგი

**ქუთაისის** სპორტულ ბაზებზე დამთავრდა რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლების სპარტაკიადა, რომელშიც 12 კოლექტივის 350-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ცურვა და მშდ მრავალჭიდი. ეს შეჯიბრება საკავშირო სპარტაკიადის მეორე ეტაპი გახლდათ. პირველ ეტაპს შეადგენდა შიდასაკოლექტივო ასპარეზობანი, რომელთა სტარტზე 3000-ზე მეტი კაცი გამოვიდა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლის (დირექტორი გ. გვენეტაძე, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ა. ტალახაძე) ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის პირველი და სოხუმის სამედიცინო სასწავლებლების კოლექტივები.

ტურნირმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის ამ ტიპის სასწავლებლებში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. გორის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხინვალის, თელავის და ფოთის სამედიცინო სასწავლებლებმა სრული გუნდების გამოყვანა ვერ შესძლეს, ხოლო რომელ სახეობებშიც იასპარეზეს, შედეგები ერთობ დაბალი ჰქონდათ. ამიტომაც იყო, რომ ზუგდიდისა და გორის კოლექტივები ბოლო — XI, XII ადგილებზე გავიდნენ. გორელებმა ორ სახეობაში — მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში იასპარეზეს. პირველში ერთი ქულაც ვერ მიიღეს, სროლაში კი მხოლოდ 130 ქულა მოაგროვეს.

პირდაპირ საოცარია რიგი კოლექტივების უსულგულო დამოკიდებულება მშდ კომპლექსის დანერგვისადმი. საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზაღზრდის პროგრამით III და IV კურსებზე მყოფ სტუდენტებს კომპლექსის ნორმატივები „ვერცხლისა“ და „ოქროს“ სამკერდე ნიშნებზე უნდა ჰქონდეთ ჩაბარებული. სინამდვილეში გორის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხინვალის, ფოთისა და თელავის სასწავლებლებმა ამ სახეობაში სპორტსმენთა გამოყვანა ვერ შესძლეს, რაც იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული რაიონების სამედიცინო სასწავლებლებში მშდ კომპლექსის ნორმატივების სწავლება და ნორმატივების ჩაბარება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

**ნ. ბაგოშიძე,**
**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზაღზრდის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა ბრწყინვალე წარმატება





# მატჩის შემდეგ

**ფინალური** ასპარეზობის დამთავრებისთანავე ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე ინტერვიუ აიღო.

აი, რას ამბობენ:

**ჯ. ბაგრატიონი, სპორტის საპატიო ოსტატი, ქართული ხელბურთის ვეტერანი:** „გრანიტასი“ ტექნიკური, ასე ვიტყოდი, ჭკვიანი გუნდია და მასთან მოგება იოლი საქმე არ იყო, მით უფრო, რომ კაუნასელებს თამაშში 12-ვე ხელბურთელი შეჰყავდათ, ჩვენებმა კი, სამაოდ მოკლე სათადარიგო სკამის გამო, 7-8 მოთამაშით გადაიტანეს მთელი ბრძოლა. ძნელი ფინალი გამოდგა. ორივე გუნდი საკმაოდ ღელავდა. გამარჯვებულებმა ნამდვილი თავდადება გამოიჩინეს, რაც თავისთავად მომავალ წარმატებათა საწინდარიც გახლავთ!

**გ. მაჭავარიანი, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, თბილისის „ბურევესტნიკის“ უფროსი მწვრთნელი:** ჩვენი ბიჭები მართლაც ქების ღირსნი არიან — ყველანი უკლებლივ! მათ ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის და მიაღწიეს კიდეც მიზანს. რაც შეეხება „გრანიტასთან“ ორთაბრძოლას, ეს ღირსეულ მეტოქეთა ჭიდილი იყო, რომელშიც საბოლოო ჯამში ნებისყოფამ და შემართებამ იმარჯვა. ეს მით უფრო მისასალმებელია, რომ ჩვენ გუნდს აკლდა ორი ძირითადი მოთამაშე — საკავშირო ნაკრების წევრი ა. ანპილოგოვი და ა. ტაბიძე.

**ვ. ბერიაშვილი, სპორტის ოსტატი, თბილისის „ბურევესტნიკის“ კაპიტანი:** ჩვენი გუნდის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომელთა გარეშე დაგვერწმუნებით გაგვიძნელდებოდა თამაში. დიდი მადლობელი ვართ ჩვენი მწვრთნელებისაც. მადლობელი ვართ რესპუბლიკის სპორტკომიტეტისაც, რომელიც ძალიან დაგვეხმარა ჩვენი გუნდისთვის მძიმე პერიოდში. „გრანიტასთან“ შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა გამარჯვებისთვის მაქსიმუმი და... უფრო მეტიც კი გააკეთეს. „ბურევესტნიკს“ თასების მფლობელთა თასის ძნელი ტურნირი ელის. არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ ვინ გვეყოლება იქ მეტოქე, მთავარია, რომ ჩვენთან ერთად თბილისელი მაყურებელი იყოს და „ბურევესტნიკიც“ შეეცდება ყოველთვის კარგი, ლამაზი თამაში აჩვენოს.

**გ. ნარიმანიძე, სპორტის ოსტატი, თბილისის „ბურევესტნიკის“ თავდამსხმელი:** ეს გამარჯვება მარტო თბილისის „ბურევესტნიკის“ გამარჯვება კი არ არის, მთელი ქართული ხელბურთის გამარჯვებაა — დაწყებული პირველი თაობიდან. ამიტომ ყველას ვულოცავ ამ დიდ სიხარულს. ჩვენ, გუნდის წევრებს ძალიან გვინდა დავუბრუნოთ სპორტულ საქართველოს ის საუკეთესო ტრადიციები, რომლებიც მას რამდენიმე წლის წინ გააჩნდა. უფრო მეტიც, ჩვენი სურვილია ევროპის თასის გათამაშებაში ვიასპარეზოთ უკეთ, ვიდრე ეს ჩვენმა წინამორბედებმა შეძლეს კონტინენტის ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში 1962 და 1964 წლების საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვების შემდეგ.

* * *

სურათებზე: ზევით — ფინალური მატჩის შემდეგ; ქვევით — „ბურევესტნიკის“ გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. მაჭავარიანი (მარჯვნივ) და მწვრთნელი ა. ლელაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## გემრავლებინოთ...

**სპორტის** სათამაშო სახეობებიდან ფეხბურთისა და კალათბურთის შემდეგ ყველაზე მეტად ხელბურთს ვაფასებ. ვინ იცის ხელბურთელთა რამდენ მატჩს დავსწრებივარ თბილისის სპორტის სასახლეში. დღესაც კარგად მახსოვს პატარა ტყავის ბურთის ჯადოქრების ჯემალ ცერცვაძის, თამაზ ანთაძის, იმედო ფხაკაძისა და მათი მეგობრების თამაში. მართლაც, ოქროს დრო იყო ქართულ ხელბურთში. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში ჩვენმა ბიჭებმა ვერაფერი სიხარული მოგვიტანეს. და აი, დღეს სპორტის ქართველი გულშემატკივრები კვლავ ვზეიმობთ დიდ გამარჯვებას — თბილისის „ბურევესტნიკმა“ საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. კვლავაც გემრავლებინოთ გამარჯვებები, ჩვენო საამაყო ხელბურთელებო!

**ნ. ლეჟავა,**
**თბილისის აბრეშუმის საწარმო გაერთიანების საქსოვი საამქროს ქვეოსტატი.**

## ნანატრი გამარჯვება

**სპორტის** დიდი ტრფიალი ვარ და თითქმის არც ერთ შეჯიბრებას არ ვაკლდები — დიდი რანგისაა ის თუ პატარა. მიყვარს ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, დიდად ვეტრფი ხელბურთსაც. როდესაც ჩვენი სპორტსმენები იმარჯვებენ, გული სიამაყით მევსება და ისევ ახალ გამარჯვებათა მოლოდინში ვარ. საბედნიეროდ, უკანასკნელ დროს სპორტის ქართველი მოყვარულები კვლავ ბევრი წარმატების მოწმენი გავხდით. თქვენთან ერთად ვიზეიმეთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მიერ სსრ კავშირის თასის მოპოვება, მაია ჩიბურდანიძის მსოფლიოს ჩემპიონის პრეტენდენტად გახდომა, დავით კვაჭაძის ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონატზე. და აი, ისევ სასიხარულო წუთები, ისევ გამარჯვება — ქართველმა ხელბურთელებმა საკავშირო თასი მოიპოვეს. ვსვამ ამ თასით თქვენს სადღეგრძელოს, ჩვენო „ბროლის“ ბიჭებო!

**გ. დარისპანაშვილი,**
**საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.**



●

## საუკეთესონი

**სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე თბილისში დაადგინეს ტურნირის საუკეთესო ცალკეული ხელბურთელებიც:**

აი, ისინიც:

მეკარე — **ა. კომახიძე** („ბურევესტნიკი“, თბილისი).

განაპირა თავდამსხმელი — **ა. ნავროზაშვილი** („ბურევესტნიკი“, თბილისი).

გამთამაშებელი — **ვ. ბერიაშვილი** („ბურევესტნიკი“, თბილისი).

ხაზის მოთამაშე — **ი. კაუჩიკასი** („გრანიტასი“, კაუნასი).

ბომბარდირი — **გ. ბერიაშვილი** („ბურევესტნიკი“, თბილისი) — 11 ბურთი ფინალში.

საუკეთესო მოთამაშე — **გ. ნარიმანიძე** („ბურევესტნიკი“, თბილისი).

## ფეხბურთი

### სასჯელი უხეშობისათვის

**თბილისის** „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის დროს უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს თბილისელთა მცველი ფ. კანთელაძე. ეს ფაქტი დინამოელთა საერთო კრებაზე მწვავე სჯა-ბაასის საგანი გახდა. მათ გაკიცხეს თავიანთი ამხანაგის საქციელი და მოითხოვეს დისკვალიფიკაცია მიეცათ მისთვის ორი თამაშით.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგია დაეთანხმა გუნდის გადაწყვეტილებას და ფ. კანთელაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით. მან გაითვალისწინა ფეხბურთელის ზეპირი და წერილობითი განცხადება, რომელშიც აღიარა დანაშაული გუნდისა და ყველა ფეხბურთის მოყვარულის წინაშე და ბოდიში მოიხადა ულირსი საქციელისთვის. საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სპორტტექნიკურმა კომისიამ დაადასტურა კოლეგიის გადაწყვეტილება ორი თამაშით ფ. კანთელაძის დისკვალიფიკაციის შესახებ. გარდა ამისა, მან მკაცრად გააფრთხილა რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები: თუ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებიდან კვლავაც გაგრძელდება მსაჯების შეურაცხმყოფელი შეძახილები, სსრ კავშირის პირველობის მატჩებს თბილისიდან სხვა ქალაქებში გადაიტანენ.

(საქინფორმი).

# ნუ ვუღალატებთ რაინდულ ტრადიციას

**ფეხბურთი.** მწვანე მინდორი, ამაღელვებელი თამაში და გულშემატკივარი... ვერ წარმომიდგენია დღევანდელი სამყარო ამის გარეშე, იმ მომხიბლავი წუთების გარეშე, რომელსაც ასე უხვად გვანიჭებს ფეხბურთი და, საერთოდ, სპორტი, სპორტი, რომელიც საერთოდ ერწყმის ჩვენი დროის რიტმსა და დინამიკას.

მე მქონდა ბედნიერება თვითონ განმეცადა ეს სიხარული საფეხბურთო მინდორზე როგორც ფეხბურთელს, ახლა კი მე თქვენსავით გულშემატკივარი, განვიცდი მას, ტრიბუნიდან როცა ვუყურებ ჩემი გუნდის, ჩვენი ბიჭების თამაშს...

ამ თავდავიწყების წუთებში ჩემი გულისცემა უერთდება მრავალათასიან გულშემატკივრის მღელვარებას, რომელიც ჩვენს ბიჭებს, ამხნევებს, აგულიანებს, მოუწოდებს...

გულშემატკივარი ეს დიდი ძალაა. იგი ზოგჯერ შეუძლებელსაც შეგაძლებინებს. არ ვიცი, რა ვიქნებოდი მინდორზე, ყოველთვის, ყოველ წუთს რომ არ მეგრძნო მაყურებელთა რაინდული მხარდაჭერა, მათი სიყვარული.

ყოველთვის როცა ვთამაშობდი, ვიცოდი, რომ ჩემს ზურგს უკან იდგა კეთილშობილი, სამართლიან გულშემატკივართა ვაჟკაცური ლაშქარი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ტრიბუნებიდან გამეგონა რაიმე შეურაცხმყოფელი გამოთქმა ჩვენი მეტოქის ან მსაჯის მიმართ... არავის მოსდიოდა აზრად უკადრისი, სულმდაბალი საქციელი ჩაედინა. ამიტომ არასოდეს შევრცხვენილვარ მეტოქის წინაშე ჩემი მაყურებლის გამო, არ დამხობილა ჩემი სიამაყე.

მეგობრებო, სამწუხაროდ ჩვენს გულშემატკივართა შორის გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ საქართველოს სპორტს.

ამ ბოლო ხანებში სტადიონზე ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც სრულიად შეუფერებელია ჩვენთვის, ჩვენი ქალაქისთვის.

არასპორტული საქციელისთვის ისჯება არა მარტო სპორტსმენი, არამედ მაყურებელიც. ეს სასჯელი კი მეტისმეტად მძიმეა. იგი, საკუთარი სტადიონის დისკვალიფიკაციაში გამოიხატება. ესე იგი გუნდი ვერ ითამაშებს მშობლიურ სარბიელზე, გულშემატკივარი ვერ იხილავს საყვარელ ფეხბურთელთა თამაშს. ეს ხდება რამდენიმე თავაწყვეტილი, უღირსი ვაიგულშემატკივრის გამო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც, მთელი სიმკაცრით არის ასახული თბილისელი მაყურებლის უღირსი საქციელი.

სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი. არავინ მოითხოვს სტადიონზე იყოს სამარისებური სიჩუმე, გულშემატკივარმა გულგრილად უმზიროს თამაშს. ხმამაღალი შეძახილები, გუგუნი ტრიბუნებზე ვის მოუშლია ან ვინ მოშლის, მაგრამ გინება? უხამსი გინება სტუმრისა? ეს უჩვეულოა ქართველი კაცისთვის, უჩვეულოა თბილისელისთვის.

მოდით, ძვირფასო გულშემატკივრებო, ნუ ვუღალატებთ ჩვენს კეთილ, რაინდულ ტრადიციას, ვიბრძოლოთ მისი დაცვისა და განმტკიცებისთვის. შევუტიოთ და გასაქანი არ მივცეთ ყოველ ვაიგულშემატკივარს, ვაჟკაცურად შევებათ მათ, რომ კვლავ დავიბრუნოთ ობიექტური მაყურებლის სახელი.

**ბ. პაიჭაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



## მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

**45 წლის** ს. გონელას, რომელმაც იმსაჯა ფინალური მატჩი არგენტინა — ჰოლანდია, ჩატარებული აქვს 24 საერთაშორისო შეხვედრა. იგი ქ. პარმაში ცხოვრობს და განაგებს ადგილობრივი ბანკის საქმეებს. გონელა წინათ თვითონ იყო აქტიური ფეხბურთელი, ლაპარაკობს იტალიურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

**ბრაზილიის** ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა რ. რიველინომ ჩემპიონატის შემდეგ განაცხადა, რომ აღარ აპირებს თამაშს თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში.

**ჩემპიონატის** საუკეთესო ფეხბურთელად, როგორც ცნობილია, დასახელებულია არგენტინელი მარიო კემპესი. შემდგომ ადგილებზე გავიდნენ როსი (იტალია) და დირსეუ (ბრაზილია).

**ყველაზე** ხშირად ფიქსირებული იყო ანგარიში 1:0 და 3:1 (7-ჯერ). ექვსჯერ აღინიშნა 0:0.

**ჩემპიონატის** მსვლელობის დროს მსაჯებმა 57-ჯერ აჩვენეს მოთამაშეებს ყვითელი ბარათი, ხოლო სამს — წითელი. 1974 წლის პირველობაზე დისციპლინა გაცილებით უარესი იყო — 84 ყვითელი და 5 წითელი ბარათი.

**ყველაზე** მეტი გაფრთხილება ჩემპიონატზე მიიღეს ბრაზილიელებმა — 9. შემდეგ მოდიან ჰოლანდია, პერუ (7-7), იტალია — 6, არგენტინა — 5. ყველაზე ნაკლები გაფრთხილება მიიღეს ავსტრიელებმა — 2.

## მსოფლიო პირველობის მატიანე

# გვირგვინით კარპოვი შეამკეს

**სარბიელზე.** ბევრი ახალგაზრდა ძლიერი მოჭადრაკის გამოჩენამ მოითხოვა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემის სრულყოფა. ამიტომ ფიდე-მ კონგრესზე სკოპლეში (1972 წლის ოქტომბერი) გადაწყვიტა 1972-1975 წლების ციკლში მოაწყოს ორი საზონათშორისო ტურნირი (თითოეულში 18 მონაწილე). შეცვალა პრეტენდენტთა შეხვედრებისა და თვით მსოფლიო პირველობის მატჩის რეგლამენტიც. მეოთხედფინალში პრეტენდენტებისთვის დაწესდა თამაში 3 მოგებამდე, მაგრამ არაუმეტეს 16 პარტიისა, ნახევარფინალში — 4 მოგებამდე 20 პარტიისა და ფინალში — 5 მოგებამდე 24 პარტიისა. თუ მატჩებში სათამაშო პარტიების რიცხვი ისე ამოიწურა, რომ მოჭადრაკემ ვერ მოიგო დათქმული რაოდენობა, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ის, რომელსაც ამ დროისთვის მეტი ქულა ექნება. ამ ცვლილებებმა გაამძაფრეს ბრძოლა ჩემპიონის ტიტულისთვის.

1973 წელს ჯერ ლენინგრადში, მერე პეტროპოლისში (ბრაზილია) მოეწყო საზონათშორისო ტურნირები (თითოეულ შეჯიბრებას პრეტენდენტის სამი საგზური გამოეყო). ლენინგრადის ტურნირში ფიდე-მ პერსონალურად მიიწვია ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, 22 წლის ა. კარპოვი. ახალგაზრდა დიდოსტატმა თქვა, რომ ითამაშებს გამოცდილების შესაძენად, რადგან თავისად 1975-78 წლების ციკლი მიაჩნია. მაგრამ ასე როდი გამოვიდა.

ლენინგრადში I-II ადგილები კარპოვმა და ვ. კორჩნოიმ გაიყვეს (13,5-13,5 ქულა 17-დან), III ადგილი ხვდა ამერიკელ რ. ბირნს (12,5). პეტროპოლისში პირველი იყო ბრაზილიელი ე. მეკინგი (12 ქულა 17-დან). II-IV ადგილები გაიყვეს ე. გელერმა, ლ. პოლუგაევსკიმ და უნგრელმა ლ. პორტიშმა (11,5-11,5). დამატებით მატჩ-ტურნირში უსაგზუროდ გელერი დარჩა. ამ პრეტენდენტებს შეუერთდნენ ბ. სპასკი და ტ. პეტროსიანი.

1974 წლის იანვარში პრეტენდენტები შეუდგნენ მეოთხედფინალური მატჩების თამაშს. კარპოვმა მოსკოვში 8 პარტიაში სძლია პოლუგაევსკის: 3 პარტია მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა, სპასკიმ სან-ხუანში (ვენესუელა) — ბირნს (+3=5), კორჩნოიმ ოგასტაში (კანადა) — მეკინგს (+3—1=9) და ტ. პეტროსიანმა პალმაში (ესპანეთი) — პორტიშს (+3—2=8).

ერთთვიანი შესვენების შემდეგ დაფებს მიუსხდნენ ნახევარფინალისტები კარპოვი — სპასკი და პეტროსიანი — კორჩნოი.

კარპოვმა სპასკისთანაც (ლენინგრადი, 12. IV — 10. V) ალმავლობით ითამაშა. მან 11 შეხვედრაში მოიგო სავალდებულო 4 პარტია (+4—1=6) და ფინალში გავიდა. მეორე ნახევარფინალური მატჩი (ოდესა, 12-24 VI) ხუთ პარტიაში დამთავრდა. პეტროსიანმა ავადმყოფობის გამო დათმო იგი, როცა აგებდა ანგარიშით 1,5:3,5.

კარპოვ-კორჩნოის ფინალურმა მატჩმა (მოსკოვი, 16. IX-22. XI) დიდი ინტერესი გამოიწვია. ცხადი იყო, რომ კარპოვის სახით ძლიერი პრეტენდენტი იზრდებოდა. მეტოქენი მუყაითად ემზადებოდნენ ძნელი შეხვედრისთვის.

თავიდან კარპოვი დაწინაურდა. I პარტიაში ყაიმის შემდეგ მოიგო II პარტია. მომდევნო სამ პარტიაში მეტოქეებმა ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, დაზავდნენ. VI პარტია კარპოვმა მოიგო. მერე ზედიზედ 10 შეხვედრა ყაიმით დასრულდა. კარპოვმა გაიმარჯვა XVII პარტიაში და თვითკმაყოფილებას მიეცა (როგორც თავად განაცხადა). სიფხიზლის დაკარგვა ორი ქულა დაუჯდა: წააგო XIX და XXI პარტიები. დარჩენილი სამი პარტია მან ყაიმით დაამთავრა და მატჩიც მოიგო (+3—2=19).

ანატოლი კარპოვის (23. V. 1951. ზლატოუსტი) პრეტენდენტობას კმაყოფილებით მიესალმა ფართო საზოგადოებრიობა. მის ტალანტს ყველა აღიარებდა. წარმატება შემთხვევითი როდი იყო: ანატოლიმ თამაში ხუთი წლისამ ისწავლა, 9 წლისა უკვე პირველთანრიგოსანია, 11 — ოსტატობის კანდიდატი, 15 — სპორტის ოსტატი, 18 — საერთაშორისო ოსტატი, 19 — სსრ კავშირის და საერთაშორისო დიდოსტატი. 1969 წელს გახდა ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი.

ჭადრაკის სამყარო მოუთმენლად მოელოდა ფიშერ-კარპოვის მატჩს. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი კვლავ გაჭირვეულდა. ჯერ მოიწადინა, რომ მატჩი 10 მოგებამდე გაგრძელდეს (ფიდე-მ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა), მერე მოითხოვა, რომ არ იყოს პარტიათა რაოდენობის ლიმიტირება (ფიდე და კარპოვი



ამაზეც დაეთანხმნენ). ბოლოს ატეხა დავა მატჩის ჩატარების ადგილის გამო. ფიდე-მ საგანგებო კონგრესიც კი მოიწვია, რომ ფიშერი დაეყოლიებინა თამაშზე. მაგრამ მან დათქმული დროისთვის (1975 წ. 1 აპრილი) არ შეატყობინა ფიდე-ს მატჩის თამაშზე თანხმობა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიო ჩემპიონმა არ ისურვა ტიტულის დაცვა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ფიშერი ვერ შეძლებდა კარპოვთან თამაშს, რადგან სერიოზულად იყო ავად.

1975 წლის 24 აპრილს მოსკოვში, პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ფიდე-ს პრეზიდენტმა, პროფესორმა მ. ეივემ (ჰოლანდია) ა. კარპოვი მეთორმეტე მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადა. მან თქვა: „ფიდე ძალიან კმაყოფილია თავისი ახალი ჩემპიონით. დარწმუნებული ვართ, რომ იგი დიდი და ღირსეული ჩემპიონი იქნება".

**თ. გიორგაძე.**

* * *

**სურათზე:** მეთორმეტე მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ა. კარპოვი.

---

**შენიშვნა:** ამ წერილით ვამთავრებთ „მსოფლიო პირველობის მატიანის" სერიის ბეჭდვას, რომელიც 1978 წლის 8 იანვარს დავიწყეთ.

## ცურვა

**მოსკოვში** გრძელდება მოცურავეთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატი. გამოვლინდნენ ჩემპიონები კიდევ ოთხ სახეობაში. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 18 წლის ლენინგრადელმა ს. რუსინმა მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. მისი დრო 3.54,47 ევროპის რეკორდზე 0,36 წამით უკეთესია. ქალთა შორის ამ დისტანციაზე გაიმარჯვა რუსინის თანაქალაქელმა ი. აქსიონოვამ — 4.15,81 (საკავშირო რეკორდი). საკავშირო რეკორდით გაიმარჯვა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოსკოველმა ო. კლევაკინამ 4.54,77. ვაჟთა შორის ამ სახეობაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა კრივოიროგელმა ს. ფესენკომ — 4.25,81.

## წყალბურთი

**ესპანეთის** ქალაქ ბარსელონაში დამთავრდა იუნიორ წყალბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის, ესპანეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, შვეციის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 11 ქულა. საბჭოთა წყალბურთელები გამარჯვებულებს ორი ქულით ჩამორჩნენ და უნგრელ სპორტსმენებს აჯობეს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: გფრ, ჰოლანდია, შვეცია, საფრანგეთი. შეჯიბრების ბოლო დღეს საბჭოთა გუნდი ესპანელებს ხვდებოდა. მატჩის ბოლო წამებამდე წინ საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ, მაგრამ ესპანელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 4:4.







## უცხოური მოზაიკა

**მოზამბიკის** დედაქალაქ მაპუტუში „რევოლუციური ახალგაზრდობის პარკში" მწყობრში ჩადგა ახალი მძლეოსნური სტადიონი (ზევით, მარცხნივ); **ქალაქ** კორვალისში (აშშ) კალიფორნიელმა სტუდენტმა მაიკლ ტალიმ დაამყარა მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში — 571 სმ (მარჯვნივ); **იუგოსლაველმა** ქვემძიმეწონოსანმა მოკრივემ მატე პარლოვმა 22 ორთაბრძოლა ჩაატარა პროფესიულ რინგზე. მისი უახლოესი გეგმაა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

საკდესის ფოტოები.

---

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2-ის" 27-ე ტირაჟებისა, რომელიც 5 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

„**სპორტლოტო**": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3693 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 87, ოთხისთვის — 62, სამისთვის — 3.

## „სპორტლოტო"

„სპორტლოტო-2": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2895 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 68, ოთხისთვის — 43, სამისთვის — 3.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი, 27-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**პირველი:** 3 (ბობსლეი), 24 (ხელბურთი), 32 (ფარიკაობა), 33 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მაიბიანი ჰოკეი).

**მეორე:** 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 11 (ტანვარჯიში), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (აფროსნობა).

# კანადის სპორტის პრობლემები

**ოტავა.** ახლახან კანადაში გამოცემულმა „მწვანე წიგნმა", რომელშიც აღწერილია ქვეყანაში სამოყვარულო სპორტის განვითარების ეროვნული პოლიტიკა, კანადის საზოგადოების ფართო წრეებში გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია. წლეულს, შემოდგომაზე გამოვა მთავრობის „თეთრი წიგნი" კანადის სპორტის თაობაზე.

კანადის ფიზკულტურისა და სპორტის მინისტრი ი. კომპანიოლო გაზეთ „ფაინენშლ პოსტის" კორესპონდენტს ესაუბრა კანადაში სამოყვარულო სპორტის ბედზე და მისი განვითარების გზებზე. მოგვყავს ნაწყვეტები ამ საუბრიდან.

**— რატომ განიცდით გაჭირვებას სამოყვარულო სპორტის განვითარების ეროვნულ პოლიტიკაში?**

— როცა, 1976 წელს გავხდი მინისტრი, მივხვდი რომ დადგა ცვლილებების დრო, ვინაიდან მასობრივი დასვენება, ფიზკულტურა და სპორტი — მოღვაწეობის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სფეროა. ამას გარდა, ჩვენს ქვეყანაში დიდი უწყებრივი არეულობაა.

**— თქვენ გაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ძირითად ყურადღებას უთმობთ „დიდ" სპორტს და არა მასობრივი დასვენებისა და ფიზკულტურის პრობლემებს...**

— ძირითადში მე მაკრიტიკებენ იმისთვის, რომ არ გამოვაქვეყნე ორი „მწვანე წიგნი" ერთდროულად (ესე იგი სპორტზე და ფიზკულტურასა და დასვენებაზე). მე მიმაჩნია, რომ „დიდი" სპორტი, რაც არ უნდა იყოს განსაკუთრებული საკითხია. ამასთან, პროვინციები მოითხოვენ, რომ ეროვნული გუნდების სპორტსმენთა მომზადებისთვის პასუხისმგებლობა ფედერალურ მთავრობას დაეკისროს.

**— რა როლს ასრულებს ფედერალური მთავრობა კანადის სამოყვარულო სპორტის განვითარებაში?**

— მთავრობას გადასაწყვეტი აქვს ორი ამოცანა — უზრუნველყოს ხელმძღვანელობა და ყურადღება მიაქციოს მომსახურების საკითხებს. ვფიქრობ, რომ მომსახურება ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

**— ვინ უნდა უხელმძღვანელოს სპორტს ქვეყანაში?**

— ამ შეკითხვას ჩვენ თვად ვუსვამთ საკუთარ თავს. ჩემის აზრით, მთავრობის მონაწილეობა აუცილებელია, მაგრამ იგი გადაჭარბებული არ უნდა იყოს. არის ისეთი ეროვნული თუ საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მთავრობას გვერდს ვერ აუვლი. (საკდესი).

---

## კალათბურთელები ამარცხებენ ფეხბურთელებს

**სახელგანთქმულმა** იუგოსლავიურმა კლუბმა, ბელგრადის „პარტიზანმა" ჩაატარა საინტერესო შეჯიბრება კლუბის საუკეთესო ფეხბურთელებსა და კალათბურთელებს შორის ფეხბურთსა და კალათბურთში. ორივე მატჩში გაიმარჯვეს კალათბურთელებმა. ფეხბურთში — 8:6, კალათბურთში — 52:49. ამ შეჯიბრების ნამდვილი გმირები იყვნენ ცნობილი კალათბურთელები, ნაკრების წევრები დრაჟენ დალიპაგიჩი და დრაგან კიჩანოვიჩი.

## ხელბურთი

**ბულგარეთში** დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი — „ვარნა — 78". მასში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და კაუნასის „ჟალგირისის" გუნდები. გაიმარჯვეს გდრ-ის ხელბურთელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს მსოფლიოს ჩემპიონები — იუგოსლაველები — 19:15. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში უნგრელებმა მოუგეს რუმინელებს — 14:11. V-VI ადგილებზე გავიდნენ ბულგარეთისა და პოლონეთის ეროვნული ნაკრებები. კაუნასის „ჟალგირისმა" უკანასკნელ მატჩში მოუგო საფრანგეთის ნაკრებს (22:9) და მეშვიდე ადგილი დაიკავა.

## მოტოსპორტი

**პარიზის** მიდამოებში გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპის შეჯიბრება, რომელიც „გრან პრის" სახელით არის ცნობილი. 250 კუბ სმ-ის მოცულობის ძრავიანი მანქანებით აქ პარეზობაში იმარჯვა ბელგიელმა კ. კავინოვმა. მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ლენინგრადელი გ. მოისეევი, რომელიც წლევანდელი მსოფლიო პირველობის საერთო ჩათვლაში ლიდერობს. ფინიშთან მესამე იყო ინგლისელი ნ. ჰადსონი.

---

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.